საპროექტო ობოექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დანართი

თბილისი, ქეთევან დედოფლის პროსპექტი №3



ხედი ქეთევან დედოფლის პროსპექტიდან, 2016წ.

2015 წლის მარტში ჩვენს მიერ შესრულდა საპროექტო ობიექტის ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, ქეთევან დედოფლის პრ. №3 ყოფ. საცხოვრებელი სახლის, იმჟამად „სტანდარტ ბანკის“, ახლა კი, „ტერაბანკის“ შენობის კონსტრუქციული გამაგრების და ფასადის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით.


კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის ძეგლის საალრიცხვო ბარათი № 010503002

1. ბანკი "ინვესტი"
2. ქეთევან წამებულის გამზირი 3
3. სახლობა - არქიტექტურის
4. თარიღი - მე-20 საუკუნის I ნახევარი

ძეგლის ბარათი, 2007წ

ნაშრომში შესწავლილია ამ მიკრო უბნის ისტორიულ-არქიტექტურული ასპექტები, გამოტანილია დასკვნები და შესაბამისი რეკომენდაციები, სადაც ზოგადად დასაშვებად მივიჩნიეთ კონსტრუქციული გამაგრება და ფასადის რეაბილიტაცია კვლევაში აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით.

დღეს განსაზღვრულია ნაგებობის ეზოს ფასადის კედლებზე, საკომუნიკაციო დანადგარებისა და აგრეგატების მოდიფიცირება. ამიტომ, ამჯერად გთავაზობთ კვლევის დანართს, რომელშიც შევეცდებით შევიმუშაოთ რეკომენდაციები ახალი მოთხოვნის გათვალისწინებით.

ასევე, შეგიძლიათ იხილოთ **15. 10 2015-ით** დათარიღებული ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა, სადაც მოყვანილია ამ სახლის ისტორია და განხილულია მისი ფასადები.


შემსრულებლები:
ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი

შ პ ს
„ძველი უბანი“
თბილისი
ნოემბერი
2020

საპროექტო ტერიტორიის ადგილი

საპროექტო ობიექტი მდებარეობს თბილისის ისტორიულ ნაწილში, **ავლაბარში, ავლაბრის მოედანზე. მისამართია ქეთავან დედოფლის პრ. №3 (ისნის რ-ნი).**

ეს იყო საცხოვრებელი სახლი, შემდეგ სხვადასხვა დაწესებულება, იმჟამად ბანკი „კორ სტანდარტ ბანკი“. ახლა აქ „ტერაბანკია“ განთავსებული და **განსაზღვრულია ამ ნაგებობის ეზოს ფასადის და აგრეგატების მოდიფიცირება.**



თბილისის არქიტექტურული ძეგლების რუკა (ფრაგმენტი)

საპროექტო ადგილი

პირობითი აღნიშვნები

- ეროვნული მნიშვნელობის ძეგლი (საერთაშორისოდ)
- ძეგლი
- ფონური
- რიგითი
- შეუსაბამო
- ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონის საზღვარი


საპროექტო ობიექტი №3 არქიტექტურული ძეგლია

ირგვლივ არქიტექტურულ ძეგლად აღრიცხულია:
„ბაზისბანკი“ – ქეთევან დედოფლის ქ..№1;
საცხოვრებელი სახლები – ქეთევან დედოფლის ქ..№7;9;
საცხოვრებელი სახლი – ფერისცვალების ქ..№28;
შამქორელთა ეკლესია – ფერისცვალების ქ. №21;


უბანში არსებული დანარჩენი ძეგლები არ აღიქმებიან საპროექტო ობიექტის თვალსაწიერზე

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის № 3/181 ბრძანების დანართი №1

რუკა შედგენილია თბილისის საყრდენი გეგმის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, „გეოფრაფიკის“ მიერ, 2007 წ.



აეროფოტო, 2018წ.



ავლაბრის მოედანი, ხედი მთაწმინდიდან 2019წ.

ნაგებობა ქეთევან დედოფლის პრ-ის გაყოლებით არის წაგრძელებული და თითქმის სანახევროდ მოიცავს ავლაბრის მოედნის სამხრეთის გვერდს. მოპირდაპირე მხარეს კი, ავლაბრის მეტროს ზედა სადგური და რვასართულიანი საცხოვრებელი სახლია.

საპროექტო სახლი, ქეთევან დედოფლის ქ. №3



სახლი №3, ფასადი ეზოს მხრიდან რეაბილიტაციამდე, 2015წ.



სახლი №3, ფასადი მოედნიდან რეაბილიტაციის შემდეგ, 2020წ.

ფსევდორენესანსული სტილის სამსართულიანი ნაგებობა, მოგვიანებით დაშენებული მეოთხე სართულით დგას მოედნის პერიმეტრზე, მის სამხრეთ მხარეს. მარჯვენა ყრუ კედლით მიდგმულია №1 სამსართულიან სახლზე. მარცხენა მოკლე ფასადი გადის მეზობელი ნაკვეთისკენ, ჩიხურ ეზოში, უკანა მხარე ემიჯნება ფერისცვალების ქუჩის განაშენიანებას. რამდენიმე წლის წინ მოხდა სახლი №3-ის კონსტრუქციული გამაგრება და ფასადის რეაბილიტაცია. აქ დამონტაჟებული იყო სავენტილაციო და გამათბობელი დანადგარები. ამჟამად განსაზღვრულია ფასადის მოწესრიგება ეზოს მხარეს.



ფასადი ეზოს მხრიდან, 2010წ.



ფასადი ეზოს მხრიდან, შესაფუთი და/ან გადასატანი დანადგარები, 22020წ.

ფასადზე, როგორც ღია აივნებზე, ასევე გარე კედლებზეც დამონტაჟებულია სხვადასხვა ტიპის და მოცულობის დანადგარები და მილები. დანადგარები მოწყობილია ასევე I სართულის კედლებთანაც.



საპროექტო ობიექტი, ხედი ხარფუხიდან, 2014წ.

რეკომენდაციები:

როგორც ვხედავთ ამ ნაგებობის ეზოს ფასადი მოგვიანებით არის გადაკეთებული. მოწყობილია ღია აივნები რიკულებიანი მოაჯირებით, ფლანგებზე კი კედლები გალესილია და სართულები დასახსრულია მარტივი, მართკუთხა სარკმლებით. მოგვიანებით აივნებსა და კედლებზე, ნაგებობაში განთავსებული ბანკის ნორმალური საქმიანობისათვის, დამონტაჟებულია სხვადასხვა ტიპის აგრეგატები.

ამ აგრეგატების განთავსება შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:


- ნაგებობის ეზოს ფასადს თავდაპირველი იერი შენარჩუნებული არ აქვს. თუმცა, აქვს მოწესრიგებული არქიტექტურული სახე. გვიან დამატებულმა აგრეგატებმა კი, ფასადის იერში დისონანსი შეიტანა. ამიტომ, შენობის ფასადი უნდა მოწესრიგდეს და მიეცეს შეძლებისდაგვარად მისაღები ერთიანი არქიტექტურული სახე;

- პირველ რიგში აქ მნიშვნელოვანია მოხდეს ისეთი მოდიფიცირება, რომ გათვალისწინებული იყოს ფასადის ერთიანობა და არ მოხდეს მისი დეგრადირება უსიეტემო მოცულობებით;

- ამისთვის საჭიროა სათანადოდ შეიფუთოს თითოეული აგრეგატი. ასევე ერთად განთავსდენ და ერთიანად შეიფუთოს უსისტემოდ გაფანტული აგრეგატები;

- უნდა შეიფუთოს ასევე ეზოს მხრიდან ტროტუარზე მიდგმულია დანადგარები და მიეცეს მისაღები ერთიანი არქიტექტურული სახე;









საპროექტო ობიექტი, შესაფუთი დანადგარები, 2020წ.

- მნიშვნელოვანია, რომ ფოტომონტაჟები გაკეთდეს ფასადის როგორც ფართო, ასევე ახლო ხედზე და რეალობასთან მიახლოებული; ოღონდ არსებული და საპროექტო ფოტომონტაჟების შესრულებით ერთი და იგივე რაკურსებიდან;

- უზრუნველყოფილი უნდა იყოს ასევე შეფუთული სტრუქტურების შესრულების კარგი ხარისხი;

ხელოვნებათმცოდნე – გია ჭანიშვილი
30. 11. 2020წ.